

კ @ ვკაზია

გენდერულ ჟურნალისტთა საერთაშორისო კოალიცია

საერთაშორისო
საინფორმაციო-ანალიტიკური
ელექტრონული ჟურნალი
გამოცემის წელი – მესამე
2007, №7, ივლისი

ნომრის თემა გენდერი: თეორია და აქტივიზმი

სარჩევი

თურქმენეთი	გენდერს არ სცხელა თაკარა მზის ქვეშ
უკრაინა	ბროლის იდეები ცოდვილი დედამიწისათვის
საქართველო	ცხენიც და შველიც ჟურნალისტ ქალშია შერწყმული
ესტონეთი	პრაქტიკა - ეს ცალკე მეცნიერებაა ყველა მონიტორინგს - მისი შედეგების მონიტორინგი?
რუსეთი	ლოცვენტი და ცენტრი - მეცნიერებისა და პრაქტიკის კავშირი
საქართველო	ინკოგნიტო ფემინიზმი ის უკვე აქაა, მაგრამ ჯერ სახელი არ დაურქმევიათ
ყირგიზეთი	ახალგაზრდა თაობა ირჩევს, მაგრამ დრო და დახმარება სჭირდება
ლიტვა	ყინული დაიდრა ზოგიერთი უკვე პასუხისგებაში მისცეს
ინდოეთი	ახალი პრეზიდენტი სარის ატარებს

თეორია

ფოტო დიანა პეტრიაშვილისა



და

აქტივიზმი

რედაქტორისაგან:

ერთი ჭკვიანი მეგობარი მყავს, ირინა დავარქვათ. იგი ფემინისტური წრთობის ფილოსოფოსია, ნიჭიერი და აქტიური. ბევრი სამეცნიერო ნაშრომი აქვს. თუმცა მე არაფერი წამიკითხავს. გულწრფელად მინდოდა, მაგრამ ტერმინების, სახელებისა და ფილოსოფიური სკოლების ჩამონათვალთა უღრანში ვაღწევა ძალიან გამიჭირდა. თან ზღვა სამუშაო მაქვს და არც მცალკია. სიმართლე გითხრათ, მეგონია, ჩემი მეგობარი საგანგებოდ წერს ისე, მარტო თავისიანებმა რომ გაუგონ. ცოტას მეტიჩრობს - ჩვენ მეცნიერები ვართო.

ჩემი მეორე მეგობარი ძალიან აქტიურია. მას ალია დავარქვათ. იგი ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფრებს ხელმძღვანელობს, აქციებს მართავს, ხელმოწერებს აგროვებს, პოლიტიკაში მონაწილეობს, მონიტორინგებსა და მედია-კამპანიებს აწყობს. დარწმუნებული ვარ, სიკვდილის შიშითაც კი ვერ გაეკარება ირინას ტექსტებს. დრო არც მასა აქვს და არც მაზოხისტიკა. ალია თავს „კარგ გოგოდ“ თვლის, არაფრით დაირქმევს ფემინისტს. მტკიცედ იცავს ტრადიციებს და ჯიუტად არ ამჩნევს, რომ ქალის ზღვა ტკივილი და თავგანწირვა – ხშირად სწორედ მათი გამოწვეულია...

ორივეს - ყურადღება მიაქციეთ - ცხოვრების მიზნად გენდერული თანასწორობის მიღწევა აქვს

დასახული. და ეს - ნორმალურია. ცოდნის ყველა სფეროს ორი მხარე აქვს: თეორიული ემპირია და ცოდვილი დედამიწა, რომელსაც სრულყოფა ესაჭიროება. ორივე თავისებურად ცხოვრობს და ყოველდღიურობას იმვითად ეხება. მაგრამ ერთხელაც დგება დღე, და „ქვევით“ ნათელი ხდება, რომ მჭიდროდ მიხურულ კარს მიღმა მძიმე მუშაობა მიმდინარეობდა. და ცხოვრებაში შემოდის პენიცილინი, კომპიუტერი ან ნავთობის გადამამუშავების საშუალება. გენდერში კი? რა მოდის ცხოვრებაში თეორიული ძიებების შედეგად? რალაც-რალაცა მოდის: ადამიანის უფლებათა სტანდარტები ქალებთან მიმართებაში, მათი დარღვევის ინდიკატორები, სხვადასხვა სფეროში ანალიზის მეთოდოლოგია, ჩვენი ინტერესების ლობირების საშუალებები. უკანასკნელი ერთნახევარი ათეული წლის შრომის შედეგი - აქტივიზმისა და გენდერული მეცნიერების ერთობლივი ძალისხმევის ნაყოფია. და მაინც. კვლავ აქტუალურად რჩება ჩემი ორი ახლობლის დამეგობრების ამოცანა. იმისათვის, რომ პირველი ხშირად გამოვიდეს ბროლის სასახლიდან და თავის მოვალეობად ჩათვალოს მეორისთვის დახმარება მის ყოველდღიურ მოღვაწეობაში. მეორე კი - დაეთანხმოს, რომ ქალთა უფლებების დაცვა მარტო თავშესაფრებში არ ხდება.

ალტინ ახმედოვა

თურქმენეთი

ცხოვრება თავისი გზით მიდის

ფოტო უმედა ახმედოვასი



მათთვის რომ გეკითხათ, იტყობენ: „ჩამოგვიყვანეთ ექიმები, მოგვეცით შამპუნი და საპონი და თუნდაც სულ ცოტა თავისუფალი დრო – მერე ვილაპარაკოთ გენდერზე“.

მაგრამ მათ არავინ არაფერს ეკითხება

თურქმენეთი. ზაფხული. 50 გრადუსამდე სიცხე. მინდვრებში წელში მოხრილი მუშაობს ხალხი. ძირითადად ეს ქალები და გოგონებია, რომელთა შორის სულ ახალგაზრდებიც არიან. სახე თავსაფრების ქვეშ დაუმალავთ, მარტო თვალები თუ ჩანს - ასე უფრო იოლია მზის მწველი სხივებისაგან თავის დაცვა.

ქალები ბამბის პლანტაციებში მუშაობენ. ეს მძიმე, დამღლელი ფიზიკური შრომაა, რომელიც მთლიანად ქალების მხრებზე გადადის. ოჯახში, სადაც მარტო ქმარი, ცოლი და პატარა ბავშვებია, გამარჯვლა მთლიანად დიასახლისს აწევს; იქ, სადაც რძალია, სწორედ იგი მუშაობს მინდვრად ზაფხულის ცხელ თვეებში; წამოზრდილი ქალიშვილები, რომლებსაც 11-12 წელი შეუსრულდათ, დედას ეხმარებიან. ასე იყო 100, 50, 10 წლის წინ, ასეა დღესაც.

თურქმენი სოფლელი ქალი ძალიან ადრე დგება და უკვე 7 საათზე მინდორშია. მეტი უნდა მოასწროს, სანამ მზე მაგრად დააჭერდეს. 10-11-ზე - მოკლე შესვენება და ჩაი, უბრალოდ ჩაი, ყოველგვარი საუზმის გარეშე, მერე ისევ მუშაობა. შუადღიდან 3-4 საათამდე, როდესაც მინდორში გაჩერება შეუძლებელია, შეიძლება ისადილო და დაისვენო. სადილად ჩაი და მჭადი აქვს - ღარიბულად და ერთფეროვნად. რაიმე სხვა, უფრო კალორიული საკვების თან წამოღება შეუძლებელია - ასეთ სიცხეში ნებისმიერი მზა საკვები უცებ გაფუჭდება. თანაც ბევრი ქალისთვის მეტის წამოღება ქმარ-შვილისათვის დაკლების ტოლფასია. თურქმენულ ოჯახში საჭმელი ჯერ ოჯახის უფროსს და ბავშვებს მიერთმევა, ქალს კი - რაც დარჩება, ასეთია დაუწერელი კანონი.

4-ის შემდეგ ისევ მუშაობა, უკვე 7 საათამდე, ზოგჯერ უფრო დიდხანსაც. მინდვრის სამუშაოების შემდეგ კი საოჯახო საქმეები იწყება. უნდა დაანაყროს ოჯახი, დაურეცხოს ქმარსა და ბავშვებს, ხშირად დედამთილ-მამამთილსა და ოჯახის სხვა წევრებსაც, დაალაგოს სახლი, მოწველოს ძროხა – ეს მოვალეობები სოფელში მცხოვრები თურქმენი ქალისათვის ჯერ არავის ჩამოურთმევია. და - დროის მინიმუმში თავისთვის. ყოველდღიური შხაპი ჰიგიენის კარგი საშუალებებით - წარმოუდგენელი ფუფუნებაა ქალებისათვის. ისიც საკმარისია, ერთ-ორ ვედრო წყალს თუ იშოვის თავისთვის - წყალსაქაჩი ყველა თურქმენულ ეზოში როდია და წყალს ხშირად შორიდან ეზიდებიან. ყველა ოჯახში საპონიც კი არა აქვთ, ისეთ საოცრებაზე რომ არაფერი ვთქვათ, როგორც შამპუნია! ბამბის მინდვრებზე არც ორსული ქალია იშვიათობა. ბევრს სისხლნაკლებობა აწუხებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ განსვენებულმა თურქმენბაშმა დახურა სოფლის საუბნო საავადმყოფოები და საექიმო ამბულატორიები, შეამცირა უბნის ექიმების შტატი, ადვილი წარმოსადგენია, რა დღეშია საკუთარი თავის ამარა დარჩენილი სოფლელი ქალი ყველა თავისი პრობლემით. ამ დროს ქვეყანაში მოქმედებს თურქმენეთის ქალთა კავშირი -საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელსაც მთავრობა და პრეზიდენტი აკონტროლებს. უცხოელი სპონსორებისგან გენდერული პროექტებისათვის მიღებული გრანტები ისეთ ღონისძიებებს ხმარდება, რომლებიც

ნაკლებად მისაწვდომია სასოფლო მინდვრებში, ხალიჩების ფაბრიკების საამქროებში მომუშავე, ქალაქის მტვრიანი ქუჩების მხვეტავი ქალებისათვის... გრანტებით ჩატარებული სემინარები და ტრენინგები უბრალო მშრომელი ქალებისათვის ფანტასტიკის სფეროა. მათთვის გინეკოლოგიების, სტომატოლოგიების, სხვა სპეციალისტების ჩამოყვანა სოფელში ან საწარმოში და ქალების გამოკვლევა - აი, რა იქნებოდა რეალური დახმარება! თხუთმეტობდე წლის წინ ერთი გენდერული პროექტით უფროსკლასელებს და ახალგაზრდა ქალებს პირადი ჰიგიენის წესები ასწავლეს, ატარებდნენ სემინარებს ყველაზე შორეულ სოფლებში გასვლით, ბოლოს კი ყველას ჰიგიენური საშუალებების ნაკრები უსახსოვრეს. დღეს ეს მოსწავლეები 30-ს გადაშორდნენ, მაგრამ დღემდე მაღლიერებით იგონებენ იმ სემინარებს... გენდერი! მის შესახებ თურქმენეთში ბევრს არც კი სმენია. თურქმენეთის ქალთა კავშირის ადგილობრივი განყოფილების ჩინოვნიკი ქალი კითხვაზე, რა გენდერული პრობლემების გადაჭრა უხდება მას თავის ორგანიზაციაში, დიდხანს ჩაფიქრდა. და რაც ყველაზე მთავარია, ბოლოს თქვა, ის, რომ ყველა ქალი კითხულობდეს რუხნამს (ყოფილი პრეზიდენტის, ს.ნიაზოვის დაწერილი ორტომეული, რომელიც ყველა თურქმენის სულიერების კოდექსად ითვლება) – ამ წიგნში ნებისმიერ კითხვაზე პასუხი! კომენტარი საჭიროა?



მინდვრის შემდეგ – საოჯახო საქმეები. იგი არავის ჩამოურთმევია

ფოტო უმიდა ახმელოვასი

ტატიანა ისაევა

უკრაინა

შეშ!

გენდერისტებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

თეორეტიკოსები და პრაქტიკოსები, ჟურნალისტები და რედაქტორები, მწერლები და მკითხველები

ფოტო პოლინა მილორადოვიჩისა



ახლახან ერთი კოლეჯელისგან, რომელიც პროფესიულ დონეზე აწარმოებს კვლევებს, ასეთი რამ მოვისმინე: თურმე, ბევრი გენდერული თეორეტიკოსი კატეგორიული წინააღმდეგია თავისი იდეების მასებში გავრცელებისა. კითხვაზე, რატომ, მიპასუხა, რომ ეს ხალხი თავის თეორიას სათუთად ეპყრობა, ელოლიავენ და არ უნდათ, რომ საყოფაცხოვრებო დონეზე დამახინჯდეს.

რასაკვირველია, არსებობის უფლება ყველა თვალსაზრისს აქვს.

მე, მაგალითად, პირიქით, ვთვლი – სწავლული-თეორეტიკოსები უფრო აქტიურ კონტაქტს რომ ამყარებდნენ გენდერულ პრაქტიკოსებთან, მთელი საზოგადოებისათვის უფრო სასარგებლო იქნებოდა. ჩვენ ზომ ერთ საქმეს ვაკეთებთ.

უკრაინაში გენდერულ განათლებას ძირითადად საზოგადოებრივი ორგანიზაციები ახორციელებენ უცხოეთის ფონდებიდან მიღებული გრანტებით. მათ კარგი პირობები აქვთ თვითგანვითარებისათვის – ინფორმაციის მიღება, მრავალფეროვან პროგრამებში, გაცვლებში, კონფერენციებში მონაწილეობა. ამ

ენთუზიასტებს ფემინიზმისა და გენდერული თანასწორობის იდეები მასებში გააქვთ.

რისთვის მუშაობენ? ფულისთვის? ნაკლებად სავარაუდოა. ასეთი მოღვაწეობა ფინანსურ პრობლემებს ვერ გადაგიჭრით. ამიტომაც უმრავლესობას ძირითადი სამუშაო აქვს. ზოგიერთს საკუთარი ბიზნესიც კი აქვს. ეს საქმიანობა – მასებამდე გენდერის მიტანა – მხოლოდ იმიტომ აირჩიეს, რომ მოსწონთ. საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მუშაობენ იდეისათვის, სწავლის შესაძლებლობისთვის, სხვა ქალაქებსა და ქვეყნებში გამგზავრებისთვის, ახალი კონტაქტების გასაბმელად. მაგრამ უმთავრესი, რასაც ეს გენდერული აქტივიზმი იძლევა – ეს თანამოაზრეების მხარდაჭერით საკუთარი იდეების რეალიზაციის შესაძლებლობაა.

ბევრმა, როცა „გენდერული სათვალეები“ მოირგო და იმაში გაერკვია, თუ რას აძლევს საზოგადოებას გენდერული თანასწორობა, ამ იდეისთვის სხვების შემოერთებაც მოინდომა. იმიტომ, რომ მიხვდა – გარდაქმნების გარეშე შეუძლებელია საზოგადოებრივი განვითარების ახალ საფეხურზე გადასვლა.

ორგანიზაციას, რომელშიც მე ვმუშაობ, — ხარკოვის ქალთა ორგანიზაცია „კრონას“ — „თეორეტიკოსებთან“ ურთიერთზემოქმედების კარგი გამოცდილება აქვს. ეს ძირითადად ქალები არიან. ისინი თავისი გენდერული კვლევების შესახებ ჩვენი ჟურნალისათვის „მ“ გასაგებად და საინტერესოდ წერენ.

2006 წელს უკრაინაში განხორციელდა პროგრამა „ქალთა მონაწილეობა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში“. მხარდამჭერი იყო უკრაინაში აშშ-ს საელჩოს დემოკრატიის თანადგომის ფონდი. პროგრამას ახორციელებდა სრულიად უკრაინის ქსელი, რომელშიც 27 არასამთავრობო ორგანიზაცია შედიოდა ქვეყნის 18 ოლქიდან. კარგი შედეგების გათვალისწინებით 2007 წელს იმავე ფონდმა მხარი დაუჭირა ახალ პროგრამას — „ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში“, იგი სულ ცოტა ხნის წინ — 1 ივნისს დაიწყო.

პროექტის კომპონენტებს წარმოადგენს გენდერული თანასწორობის სფეროში კანონების შესრულების მონიტორინგი და ჟურნალისტთა გენდერული მონათლება. (ჟურნალისტებთან ჩვენ განსაკუთრებული პრობლემა გვაქვს — ცოტას თუ შეიძლება უწოდო გენდერულად მგრძობიარე!) პროგრამის მიზანია უკრაინაში ისეთი გარემოს შექმნა, რომელშიც ქალებს მამაკაცების თანაბარი შესაძლებლობები ექნებათ გადაწყვეტილებათა მიღების ყველა დონეზე. აქ მოღვაწეობის ასპარეზი თეორეტიკოსებსაც ექნებათ და პრაქტიკოსებსაც. ჩვენი, გენდერული აქტივისტების ამოცანაა — მოვახერხოთ, რომ „გენდერზე“ ჟურნალისტები ალაპარაკდნენ, ანუ — მთელი საზოგადოება დაფიქრდეს. მაგრამ როგორ ვაიძულოთ ისინი ისაუბრონ ამაზე? მოუთმენლად ველოდი „კავკაზის“ გენდერისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისადმი

მიძღვნილ ნომერს. ძალიან დიდი იმედი მქონდა, რომ მასში ჟურნალისტის გულის გასაღებს მივაგნებდი. ვერ ვიპოვე. სამაგიეროდ აღმოვაჩინე იმის დადასტურება, რომ ჟურნალისტებთან საჭიროა მუშაობა — საუბრები, განათლება, დარწმუნება, შენკენ გადმობირება. უნდა გავცდეთ ჩვენი „გენდერული“ ჟურნალების საზღვრებს, უნდა ვწეროთ უფრო ფართო აუდიტორიისათვის.

მე „კავკაზის“ ავტორებს წინადადებებს ვთავაზობ. ჩვენი ჟურნალის „მ“ (რომლის რედაქტორიც ვარ) 2007 წლის ბოლო ნომერი გენდერული პრობლემების გადაჭრის საუკეთესო პრაქტიკას მიძღვნიდა. იგი წარმოდგენილი იქნება პროგრამის „ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში“ შემაჯამებელ კონფერენციაზე. ვთავაზობ ჟურნალისტებს, რომლებიც წერენ „კავკაზისათვის“, ამ ნომრის სტატიების ავტორები გახდნენ! ძვირფასო კოლეგებო, გვიამბეთ, როგორ აღმოაჩინეთ ქვეყანა „გენდერსტანი“? რატომ არის ეს თქვენთვის მნიშვნელოვანი? რატომ წერთ ამის შესახებ მიუხედავად იმისა, რომ არ იხვეჭთ არც ფულს და არც სახელს? ჩვენ თქვენს ტექსტებს რევიონულ პრეს-კლუბებს გადავცემთ, უკრაინის ინტერნეტ-რესურსებზე განვათავსებთ. იქნებ ამან შესაძლებლობა მოგვცეს მეტი უკრაინელი ჟურნალისტიც მოვიზიდოთ?

საინფორმაციო-საგანმანათლებლო ჟურნალ „მ“-ს ელექტრონული ვერსია შემდეგ საიტზეა: www.krona.org.ua გთხოვთ შემეხმიანოთ მისამართზე: t_isaeva@ukr.net isaevakrona@mail.ru

მხურვალედ მჯერა ნაყოფიერი თანამშრომლობისა!



„კავკაზ“ + „მ“ = „კავკაზია“?

ფოტო დიანა პეტრიაშვილისა

ციცინო ჯულუხიძე
საქართველო

სხვათა შორის, ჟურნალისტების შესახებ

ჩვენ გენდერში ჩვენი ინტერესები გვაქვს: გავხადოთ პროფესია უფრო კომფორტული



ფოტო პოლინა მილორადოვიჩისა

ოჯახი თუ კარიერა – ამ ანტაგონიზმმა არაერთი ნიჭიერი ქალური კალამი დაადუმა

სტუდიაში ვზივარ და ფილმს ვუყურებ, რომელიც ახლახან დაასრულა ასოციაცია „გენდერმედი-აკაკასიამ“ (ავტორები – სოსო მჭედლიძე, საბა ამირეჯიბი, ლელა არაბული). მასში ქართველი ტელეჟურნალისტი ქალების ორი თაობაა. სულ ახალგაზრდა, დამწყები, და ჩვენი ტელევიზიის ვეტერანი ქალბატონი – ლია მიქაძე. ისინი არ საუბრობენ გენდერზე, არ სვამენ აბსტრაქტულ კითხვებს. უბრალოდ, თავის სამუშაოზე ყვებიან. ახალგაზრდა – თავის მოლოდინზე. უფროსი – იმაზე, თუ როგორ შემოვიდა მის ცხოვრებაში ტელევიზია. როგორ გახდა იმულებული გაყროდა პირველ ქმარს, რომელსაც ცოლი სახლში ჭირდებოდა და არა ტელევიზორში. იმავე მიზეზით როგორ გაეყარა მეორესაც, აქვე, კადრში, ქალბატონი ლიას მოზრდილი ქალიშვილიცაა. იგი იხსენებს, როგორ აკლდა ბავშვობაში დედა და „დედის ღვეზელები“.

ამასთან, შევნიშნავთ, რომ დედა არც მთვარეზე იყო და არც ომში. იგი იქვე იყო, გვერდით, მაგრამ მისი სამუშაო ისე იყო აწყობილი, წუთითაც ვერ მოდუნდებოდა. იგივე სისტემაა ახლაც. თითქოს არ შეიძლება ეს სფერო იქ მომუშავე ადამიანებისადმი უფრო მეგობრულად იყოს განწყობილი. ახალი თაობა მოდის და არც კი ცდილობს იკითხოს:

რატომაა ყველაფერი აწყობილი ასე და არა სხვაგვარად? ამის ნაცვლად ეგუება მკაცრ გარემოს და წინის შემსუბუქებას პროფესიონალიზმის სტანდარტების დაქვეითებით ცდილობს. ტელევიზიიდან მიდის ხარისხი, მორალი, სინდისი და პასუხისმგებლობა.

მასწენდება: ერთ დროს ერთ ჩემს მეგობარს – მაშინ ახალგაზრდა ჟურნალისტს – ძალიან უნდოდა გაზეთში მუშაობა. მართალია, იბეჭდებოდა, მაგრამ ეს არ იყო ნამდვილი სამუშაო. იგი შტატში მოხვედრაზე ოცნებობდა. სამსახურში მოწყობა პროტექციის გარეშე ძნელი იყო, მაგრამ მას შეეძლო დამოუკიდებლად გაეკაფა გზა. გათხოვდა. ქმარს მასში ეჭვი არ ეპარებოდა, მაგრამ როდესაც საქმე ჟურნალისტურ საქმიანობაზე მიდგა, მაშინვე წამოიჭრა კითხვა: „შენ თუ გაზეთში იმუშავე, ოჯახისთვის დრო აღარ დაგრჩება“. ნახვამდის, ძვირფასო რედაქციავ! ძალზე საწყენი იყო. ოჯახი არ დანგრეულა, მაგრამ ჩემს მეგობარს დღემდე ახსოვს მაშინდელი გულისტკივილი.

მინც, რატომ უნდა დადგეს ქალი ასეთი არჩევანის წინაშე? რატომ არ შეიძლება თავი იმ საქმეს უძღვნას, რომელიც უყვარს? მამაკაცის წინაშე ხომ ასეთი არჩევანი არასოდეს დგება.

რუტა პელსი
ესტონეთი

მედია

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონიტორინგი – მეცნიერება თუ პრაქტიკა?

კვლევები მეტისმეტად სუსტად ზემოქმედებენ ყოველდღიურობაზე

მის-ს მონიტორინგები არ უყვართ, თუ ისინი მათი შეკვეთით არ ტარდება. დამოუკიდებელი შედეგები გაღიზიანებასა და წყენას იწვევს, კონკურენტი გამოცემების მიღებული შედეგები კი პირდაპირ აცოფებთ. ციფრების გაცნობისას კომენტარების გარეშეც მიხვდები, კვლევა საკუთარია თუ სხვისი. რასაკვირველია, საკუთარში ყველაფერი სწორად იქნება, კონკურენტებთან კი, რა თქმა უნდა, ყველაფერი დამახინჯებული და შებრუნებული (რაც გამორიცხული არაა). საწყალი მკითხველი, ვის დაუჯეროს?!

პასუხი, თითქოს, მარტივია: ყველაზე სანდო – დამოუკიდებელი კვლევებია. მაგრამ აქაც ყველა მხრიდან კრიტიკაა: არც არჩევანია სწორი, მეთოდიკაც საეჭვოა, და საერთოდ, ვინა ხართ და როგორ გაბედეთ ჩვენი შესწავლა?

გლობალური მედია-მონიტორინგი, რომელიც 2005 წლის 16 თებერვალს ჩატარდა, ბენიერი გამონაკლისი არ ყოფილა. მისი მიზანი იყო გაერკვია, როგორ იყვნენ ქალები წარმოდგენილნი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში და ერთდროულად მსოფლიოს 76 ქვეყანაში ტარდებოდა. ჟურნალისტები და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები მთელი დღის მანძილზე უსმენდნენ, უყურებდნენ და კითხულობდნენ საინფორმაციო გამოშვებებს, ავსებდნენ სპეციალურ ანკეტებს. შეგროვილი მონაცემები დაამუშავეს და გააანალიზეს სოციოლოგებმა, ერთი წლის შემდეგ კი, 2006 წლის 15 თებერვალს, შედეგები ოფი-

ციალურად გამოქვეყნდა პრაქტიკულად მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. მერედა რა? ესტონეთში კვლევის ეროვნული შედეგების მიღების შემდეგ არც ერთ „მონიტორინგჩატარებულ“ მასობრივი ინფორმაციის საშუალებას არ მოუხდენია მასზე რეაგირება, თვით მონაწილეებმა კი არ ისურვეს საკუთარი თავი სარკეში დაენახათ... უკეთეს შემთხვევაში, მშრალი „მადლობა“ მოჰყვა. პუბლიკაციები მონიტორინგის შესახებ იმ გაზეთში, ჟურნალსა და პორტალზე გამოჩნდა, რომელსაც მონიტორინგში მონაწილეობა არ მიუღია.

მაინც, რა უჩვენეს ციფრებმა? კორესპონდენტებს შორის ქალებმა 46% – თითქმის ნახევარი შეადგინეს! აი, ახალი ამბების მთავარ გმირი, ექსპერტი და რესპონდენტი მხოლოდ 24% აღმოჩნდა! ქალი ჟურნალისტებისა და წამყვანების რიცხვის ზრდა იოლი ასახსნელია: ახალგაზრდა მამაკაცები მოკრძალებულ ხელფასს წუნობენ. განსაკუთრებით რადიოში, რადგან გაზეთებში ანაზღაურება უკეთესია, მამაკაცებიც იქ მეტია.

ყოველდღიურ პრაქტიკაში **მის-**ის ხელმძღვანელები და ჟურნალისტები იშვიათად ფიქრობენ გენდერულ ბალანსზე. გენდერული მგრძობელობა იმ გამოცემებსაც კი არ აწუხებთ, რომელთა სათავეში ქალები დგანან. ზაგრებში GMMP-ს ჯგუფების ხელმძღვანელთა ევროპულ შეხვედრაზე მიმავალმა თვითმფრინავში ostimees-ი გავიყოლე, ერთ-ერთი გაზეთი, რომლის მონიტორინგსაც ვაწარმოებდით. პირველ გვერდზე იმ დღეს 6 ფოტოსურათი იყო. ქალი – არც ერთზე! გამოცემის რედაქტორი – ქალია. მაშ, გამოდის, რომ მონიტორინგი, კვლევის კარგი ტექნოლოგია ყველაფერი როდია. საჭიროა გულმოდგინე პრაქტიკული მუშაობა, რათა არა მარტო მივაწვდინოთ შედეგები მათ, ვისაც ჯერ არს, არამედ გამოვიყენოთ, როგორც დარწმუნების საშუალება. ეს კი უკვე – ცალკე მეცნიერებაა.



გადაითვალეს და – ცრემლი მოერიათ. მერე?

ფოტო უმიდა ახმედოვასი

„თეორეტიკოსებისაგან“ — „პრაქტიკოსებს“

ძვირფასო კლევებო!

სოციალური პოლიტიკის კვლევის ჟურნალის რედაქცია მოხარულია გაცნობოთ, რომ მკითხველებთან და ავტორებთან ურთიერთობის საშუალებათა გაფართოების მიზნით შექმნილია ცოცხალი ჟურნალი, რომელიც შევიძლიათ ნახოთ შემდეგ მისამართზე:

<http://jsps-journal.blogspot.com/>

მოხარული ვიქნებით ვიხილოთ თქვენი შენიშვნები ჟურნალის გაფორმებასთან დაკავშირებით, კომენტარები გამოქვეყნებულ მასალებზე, იდეები ახალი თემატური გამოცემების შესახებ, ნებისმიერი წინადადება, რომელიც დაგვეხმარება პუბლიკაციებისა და მთლიანად გამოცემის ხარისხის გაუმჯობესებაში. გარდა ამისა, გთავაზობთ აზრის გამოთქმას სოციალური პოლიტიკის კვლევის აქტუალური პრობლემების, ასეთი კვლევების მეთოდოლოგიის განვითარების, პერიოდიკაში ახალი პუბლიკაციების, მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების თაობაზე. რედაქცია დაინტერესებულია ახალი ავტორების, მათ შორის, კრიტიკული რეცენზიებისა და მიმოხილვების ავტორების ძიებით.

სათანამშრომლოდ ვიწვევთ სპეციალისტებს სოციოლოგიის, ეკონომიკის, ისტორიის, სოციალური სამუშაოს, ფილოსოფიის სფეროში და სხვა დისციპლინათა წარმომადგენლებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სოციალური პოლიტიკის, როგორც დისციპლინათაშორისი ცოდნის სფეროს განვითარებით.

პაველ რომანოვი,
ელენა იარსკაია-სმირნოვა,
ქ. სარატოვი, რუსეთი



ვინა ვარ — მეცნიერი თუ აქტივისტი? დოცენტ ლარისას ამაზე ფიქრისთვის არ სცალია — ბევრია საშუალო

ფოტო პოლინა მილორადოვიჩისა

მკვლევარებისა და აქტივისტების ერთობლივი ძალისხმევის ნაყოფი: საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი

მან მუშაობა დაიწყო პეტროზავოდსკში მსო-ს მხარდაჭერით

რუსეთის ფედერაციაში ადამიანებით ვაჭრობის თავიდან აცილების მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (მსო) პროექტის ფარგლებში 3 პილოტურ რეგიონში ტარდება შესაბამისი კვლევები. ამ მიზნით პეტროზავოდსკში, ასტრახანსა და მოსკოვში გახსნილია საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლთა გამოვლენას, კონსულტაციურ დახმარებას უწევენ მიგრაციის, შრომითი მოწყობისა და მათთან დაკავშირებული რისკების შესახებ. კარელიის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრს სათავეში ჩაუდგა ლარისა ბოიჩენკო, საერთოსამართლებრივ დისციპლინათა კათედრის დოცენტი. ეს ნათელი მაგალითია იმისა, რომ მეცნიერი აქტივისტის პრაქტიკულ მოღვაწეობასაც წარმატებით ეწევა.

ცენტრის მუშაობის პირველმა თვემ აჩვენა, რომ მსგავსი კონსულტაციების მიღების მსურველთა რიცხვი საზღვრისპირა კარელიაში ცოტა არ არის.

ვერა ხევსურიშვილი,
პეტროზავოდსკი, რუსეთი

დიანა პეტრიაშვილი
საქართველო
ორი სიუჟეტი

მანანა


– რად მუშაობს დედაშენი?
– დედაჩემი – ვარსკვლავია.

საუბარი დამთავრებულია, ხუთი წლის მანანა შინ, დედასთან მიიჩქარის. ანუ ტელევიზორთან, რომელიც, თუ გაუმართლებს, დედას უჩვენებს. რომც არ გაუმართლოს, მაინც ღირს წასვლა – დედის ხმას კადრს მიღმა მაინც გაიგონებს. მანანა ტელევიზორის წინ იატაკზე ჯდება და დაძაბული უსმენს დედის ხმას. მოწყენილია. გასაკვირია – მანანა ბებოსთან ცხოვრობს, დედას თვეში ერთხელ ხვდება.

მანანას დედა ახალგაზრდა და ძალზე წარმატებულია. იგი – წამყვანი ტელეჟურნალისტი. „ვარსკვლავი“, როგორც მანანას მიაჩნია. ბევრს და კარგად მუშაობს, ანაზღაურებაც კარგი აქვს. ერთი შეხედვით, მშვენიერი სურათია – დამოუკიდებელი ახალგაზრდა ქალი, რომელმაც სამსახურში მამაკაცებზე გაცილებით მეტს მიაღწია. მაგრამ ეს მაშინ, თუ მანანას არ იცნობ, რომელმაც ზეპირად იცის საინფორმაციო გამოშვებების განრიგი. თუ არ იცი, რომ იგი ხშირად დედასთან იმ იშვიათი შეხვედრებითაც ვერ ტკება – როცა „რაღაც ხდება“ და დედა სასწრაფოდ ახალ მივლინებაში მიემგზავრება, მანანას კი კვლავ ბებიას უტოვებს...

– რა ვქნა? სხვა გამოსავალი არ არის, – ამბობს მანანას დედა.

რაკი გამოსავალი არ არის, ე.ი. მსხვერპლი უნდა გაიღო. ან ოჯახი უნდა შესწირო კარიერას, ან კარიერა – ოჯახს. ჩვენი ქალების დიდი უმრავლესობა კვლავინდებურად აუცილებლად დგება ამ არჩევანის წინაშე. ყველაფერი ისეა, როგორც ნახევარი საუკუნის წინ, უფრო უარესად კი. ჩვენ ხომ ახლა ღიად და ბევრს ვსაუბრობთ თანასწორობაზე, მოვალეობათა გადანაწილებაზე და სხვა ჰარმონიაზე, მაგრამ, საუბედუროდ, ეს ჩვენს ცხოვრებას ვერ ამსუბუქებს.



ავტორის ფოტო



ავტორის ფოტო

ანუშკა

ჩემი საუკეთესო მეგობარი გათხოვდა. იგი ძალზე დამოუკიდებელი გოგონაა. თვითონ გამოთვალა ხარჯები, თვითონ მოელაპარაკა ბანკს სესხის შესახებ, თვითონ გადაიხადა. რესტორანიც შეარჩია, მენიუც, ღვინოც შეუკვეთა. თავისი საერთაშორისო ქორწინების შესახებ ცნობებიც თავად შეაგროვა – სამსახურში სადილის შესვენებების დროს. ღირსშესანიშნავ დღეს თვითონ მოელაპარაკა მძღოლებს, თვითონვე გაუსწორა ანგარიში, თვითონ გადაანაწილა სტუმრები მანქანებში. ბედნიერი ქმარი, დაბ-

ნეული ბიძაშვილები და ხელისმომკიდებები, უბრალოდ, მის მითითებებს ასრულებდნენ.

ლიდერის მითითებებს.

მიუხედავად ყველაფრისა, ჩემი მეგობარი ნამდვილი პატარძალი იყო. ნაზი და ლამაზი. გრძელ თეთრ კაბაში.

ყვავილებით და ძალაღ ქუსლებზე. მოძლიმარი და კეთილი.

მე ამას ვერასდროს შევძლებდი.

– იცი, – გამოვუტყედი ქორწილის შემდეგ, – მე ასე ვერასოდეს შევძლებდი.

მიუხედავად მთელი ჩემი დეკლარირებული ფემინიზმისა.

– რას ვერ შეძლებდი? – ვერ გაიგო მეგობარმა.

– იმას, რაც შენ გააკეთე. თანაც ისე, თითქოს წვეთი ოფლი არ მოგედინოს.

მეგობარმა არაფრად ჩააგლო – თუ რალაცის კარგად გაკეთება გინდა, თავად უნდა გააკეთო.

ჩემგან განსხვავებით, ჩემი მეგობარი არ გაჭყვირის ყოველ ნაბიჯზე თავისი ფემინიზმის შესახებ. მაგრამ არც ამ სიტყვის ეშინია.

– მითხარი, – კკითხე ერთხელ, – ფემინისტი ხარ?

– ალბათ, – მიპასუხა მცირეოდენი ფიქრის შემდეგ.

საუბარი ფემინიზმზე მის ახალგაზრდა ქმართანაც ჩამოვაგდე:

– რას ამბობ! – შეეშინდა მას, – ფემინისტზე არასოდეს დავქორწინდებოდი!

მაგრამ იგი ხომ კარგად იცნობს თავის ახლადშერთულ მეუღლეს. ძალიანაც მოსწონს მისი ხასიათი და ცხოვრების წესი.

როგორც ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი, ისიც მიესალმება ჰარმონიისა და თანსწორობისაკენ

სწრაფვას. მაგრამ სიკვდილივით ეშინია ამ საშინელი სიტყვის – „ფემინიზმის“.



ნურჟან ტულეგაბილოვა
ყირგიზეთი

ფასეულობები

ახალგაზრდობა

გენდერულ თანასწორობას

ირჩევს

იგი საღად აღიქვამს რეალობას
და თავის სასიცოცხლო სტრატეგიებს თავისებურად აგებს

ჩვენ რთულ სამყაროში ვცხოვრობთ და ეს სირთულე სულ უფრო იზრდება. დაჩქარებული ცვლილებები მეცნიერებასა და სოციალურ ცხოვრებაში ჩვენთვის დიდ გამოცდას წარმოადგენს. განსაკუთრებით ახალგაზრდობისათვის, რომელსაც მომავალი ეკუთვნის. დიდებულია, თუ განათლება და მეცნიერება ახალგაზრდობის მსოფლმხედველობისათვის დასაყრდენი გახდება. არანაკლებ მნიშვნელოვანია – ცხოვრებისადმი აქტიური დამოკიდებულების მაგალითი, რომელიც უფროსმა თაობამ შეუძლია მისცეს. რას ფიქრობენ ახალგაზრდები ამის შესახებ? გენდერული ურთიერთობების როგორი სცენარი მოსწონთ? ამის შესახებ ჩემს სტუდენტებს ვკითხე და აი, რა მიპასუხეს.

ასელი, II კურსის სტუდენტი:

დღეს ბევრ მამაკაცს ჰყავს ორი-სამი ცოლი. პირველიც, მეორეც და ყველა სხვა ცოლიც – უბედურია. არა მგონია, თვითონ მამაკაციც სავსებით ბედნიერი იყოს. ჩვენ ვცხოვრობთ საზოგადოებაში, რომელიც თითქოს შეეგუა ამ ფაქტს. იგი ხომ პრაქტიკულად არავითარ ზომებს არ მიმართავს. უფრო მეტიც, მრავალცოლიანობის დაკანონება პარლამენტის განხილვის საგანიც კი გახდა! ეს ხომ სისულელეა, მრავალცოლიანობა ყაზხეთში იურიდიულად აკრძალულია. მაგრამ იგი არსებობს! მაშინ რა ფასი აქვს ამ იურიდიულ ნორმებს? ეს ხომ თვალთმაქცობაა სახელმწიფო დონეზე – გაამართლო მრავალცოლიანობა „ჰუმანიზმის“,

„დემოკრატიულობის“ და „დემოგრაფიული“ საბაბით. თვალთმაქცობაა იმის თქმა, რომ თითქოს მრავალცოლიანობა ზოგიერთი გაუთხოვარი ან გაყრილი ქალის მდგომარეობას გააუმჯობესებს.

ყველაზე საშინელი კი ისაა, რომ ბევრი ახალგაზრდაც იზიარებს ამ აზრს.

მე არ მინდა ისეთ საზოგადოებაში ცხოვრება, სადაც ქალის მიმართ ძალადობაა, სადაც მრავალცოლიანობაა, სადაც ქალებს არ შეუძლიათ წარმოაჩინონ თავი, როგორც თანასწორებმა. ვფიქრობ, უნდა ვიცოდეთ ჩვენი უფლებები და დავიცვათ ისინი. ანუ, შევიცვალოთ და საზოგადოება, გარემოცვა შევცვალოთ.

სალტანათი, I კურსის სტუდენტი:

მამაჩემს, პრაქტიკულად, ჩემს აღზრდაში მონაწილეობა არ მიუღია. ძნელი გასახსენებელია, წავუყვანივართ თუ არა საბავშვო ბაღში, სკოლაში, დაგვხმარებია თუ არა გაკვეთილების მომზადებაში. სამაგიეროდ, კარგად მანსოვს მამის საჩუქრები – ძვირიანი სათამაშოები, წიგნები. და ეს ჩვენი ოჯახისათვის ნორმალური იყო. დედა ოჯახს და ბავშვებს უვლიდა, მამას ფული და შენაძენები მოჰქონდა. ყველას თავისი როლი ჰქონდა.

მამაკაცის როლი, რომელიც შვებულებაში ბავშვის მოსავლელად გავიდა, ჩვენი მამაკაცების აბსოლუტური უმრავლესობისათვის მიუღებელია

(თუმცა ერთეული მაგალითები ყაზახეთშიც არის) – კულტურის, ტრადიციების, ადათების გამო. გახვალ შვებულებაში და მაშინვე „ქალაჩუნას“ იარლიყს მოგაწებებენ. ვფიქრობ, ყველა ვერ გადადგამს ასეთ გაბედულ ნაბიჯს. მამაკაცებს გაცილებით მეტი შესაძლებლობები აქვთ, ვიდრე ქალებს. მათ შეუძლიათ წარმატებული კარიერა გაიკეთონ, ოჯახი შექმნან და პარალელურად „პირადი“ ცხოვრებაც ჰქონდეთ. მაგრამ ყველა მათგანს აკლია ემოციური კონტაქტი. მათ არა აქვთ მჭიდრო კავშირი საკუთარ შვილებთან, კარგი სულიერი კონტაქტები ოჯახთან. მაგრამ ეს ხომ ძალზე მნიშვნელოვანია! დარწმუნებული ვარ, ყველა მამაკაცს როდი უნდა, იყოს „მამო“. მაგრამ საზოგადოებამ მათ, თითქოს, ეს მიაწერა. ყველა როდი გაბედავს შეწინააღმდეგებას.

თუმცა, ცხოვრების პატრიარქალურ ნორმებს ხარისხობრივად ახალი ურთიერთობები ენაცვლება, რომელთა საფუძველსაც პიროვნების თავისუფალი განვითარება წარმოადგენს. დღევანდელ ახალგაზრდობას სხვა სამყაროში უწევს ცხოვრება. იგი უკვე აქტიურად უნდა მოვამზადოთ – ცვლილებები რომ ჰარმონიული იყოს და კონფლიქტებამდე არ მიგვიყვანოს. ვფიქრობ, ჩვენს ქვეყანას ძალიან ჭირდება საღი ახალგაზრდული პოლიტიკა, სადაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს გენდერული თანასწორობა. ეს ხომ საზოგადოების მომავალში გაჭრავს.



ცხადია, რომ ახალგაზრდობა გენდერული სულისკვეთებით უნდა აღვზარდოთ! ისიც ნათელია, რომ გოგონები ამ აღზრდას მეტი გულისყურით ეკიდებიან...

ფოტო დიანა პეტრიაშვილისა

უფლებათა დაცვის მეცნიერება და პრაქტიკა ლიტვაში პირველად დადასტურდა სამსახურში სექსუალური იძულების ფაქტი

ეს თანაბარი შესაძლებლობების კონტროლის სამსახურმა მოახერხა. როგორც იტარ-ტასის სამსახურის უფროსმა აუშრინე ბურნიეკენემ გვაუწყა, დამნაშავეს ხარასმენტში ოფიციალური გაფრთხილება მისცეს. ძიება მას შემდეგ დაიწყო, რაც სამსახურს სამშენებლო ფირმის თანამშრომელთა განყოფილების უფროსმა მიმართა, რომელსაც ფირმის ხელმძღვანელმა უთხრა, რომ სამსახურში მიღებისათვის მადლობა სექსით უნდა გადაეხადა. განმცხადებელმა საუბრის დიქტოფონური

ჩანაწერი წარმოადგინა, ასევე თავისი თანამშრომლის – მოწმის ჩვენება. აღრე სამსახურში მსგავსი მიმართვები დაუმტკიცებელი რჩებოდა, ან განმცხადებელი საბოლოოდ უარს ამბობდა პრეტენზიებზე. თანაბარი უფლებების კანონის მიხედვით, რომელიც ლიტვაში 1999 წელს მიიღეს, სექსუალური ძალადობისათვის სამსახურმა გაფრთხილების გარდა შეიძლება ჯარიმაც დააწესოს 100-დან 2 ათას ლიტამდე (29-დან 580 ევრომდე), ან მასალა სასამართლოს გადასცეს. როგორც გასულ წელს ვილნიუსის უნივერსიტეტის სოციოლოგების გამოკვლევის შედეგები მოწმობს, სექსუალურ ძალადობას ერთხელ მაინც შეჯახებია ქალების 21% და მამაკაცების 15%.

წყარო: NEWSru.com
<http://www.newsru.com/crime/25sep2006/sex.html>



ცხელი ამბები ინდოეთიდან ისტორიაში პირველად ამ ქვეყნის პრეზიდენტი გახდა ქალი

ინდოეთის პრეზიდენტად ქალი აირჩიეს – 72 წლის პრატისხა პატილი. 14 ივლისს ხმების დათვლის შემდეგ ამის შესახებ ეროვნულმა საარჩევნო კომისიამ განაცხადა. პატილი, რომელიც კენჭისყრამდე რაჯასტხანის შტატის გუბერნატორი იყო ინდოეთის დასავლეთში, დიდი ხანია პარტია „ინდოეთის ეროვნული კონგრესის“ (იეკ) წევრია. 1962-1985 წლებში შტატ მახარაშტრას საკანონმდებლო ორგანოში მოღვაწეობდა. სხვადასხვა დროს მას ამ მსხვილი შტატის, რომლის დედაქალაქია მუმბაი,

მნიშვნელოვანია !

ბინათმშენებლობის, სოციალური განვითარების, ტურიზმის მინისტრის პოსტები ეკავა. ამის შემდეგ პატილი არჩეული იყო ინდოეთის პარლამენტის ზედა პალატაში იეკ-დან. პოლიტიკური კარიერის დაწყებამდე იურისტად მუშაობდა. პრეზიდენტი ინდოეთში ძირითადად ცერემონიალურ როლს ასრულებს, დემოკრატიული ნორმების დაცვის გარანტს წარმოადგენს. სახელმწიფოს მეთაური უმაღლესი მთავარსარდალია, აქვს საგანგებო მდგომარეობის შემოღების უფლება და ამტკიცებს პრემიერ-მინისტრს. პრეზიდენტს 5 წლის ვადით ირჩევენ საარჩევნო კოლეგია, რომელიც ინდოეთის პარლამენტის ორივე პალატის და შტატებისა და მოკავშირე ტერიტორიების საკანონმდებლო კრებების დეპუტატებისგან შედგება. სადეპუტატო ხმის „წონა“ ბალებში გამოითვლება და იმ მოსახლეობის რიცხოვნობით განისაზღვრება, რომელთაც სახალხო რჩეული წარმოადგენს.

ინდოეთის წინა პრეზიდენტმა, 75 წლის აბდულ კალამმა, რომელიც ცნობილია, როგორც ინდური სარაკეტო-კოსმოსური პროგრამის „მაძა“, თავისი პოსტი 24 ივლისს დატოვა.

ევგენი ბეზუკა,
ნიუ-დელი,
რია ნოვოსტი
<http://www.rian.ru/world/asia/20070721/69405723.html>

რედაქტორები:

გალინა პეტრიაშვილი (მთავარი რედაქტორი), საქართველო
(+99599 90 11 24, galapet@ip.osgf.ge)
ციცინო ჯულუხიძე (ქართული ვერსიის რედაქტორი), საქართველო
(+99599 92 32 67, cicoju@rambler.ru)
დიანა პეტრიაშვილი (ინგლისური ვერსიის რედაქტორი), საქართველო
(+99599 76 26 21, dianapetriashvili@yahoo.com)

ნომერზე მუშაობდნენ:

ალთინ ახმედოვა, თურქმენეთი
ტატიანა ისაევა, უკრაინა
ციცინო ჯულუხიძე, საქართველო
რუტა პელსი, ესტონეთი
დიანა პეტრიაშვილი, საქართველო
ვერა ხევსურიშვილი, რუსეთი
ნურჟან ტულეგაბილოვა, ყირგიზეთი

ფოტო:

დიანა პეტრიაშვილი, საქართველო
უმიდა ახმედოვა, უზბეკეთი
პოლინა მილორადოვიჩი, საქართველო

დიზაინი და დაკაბადონება:

ასოციაცია „გენდერმედიაკავკასიას“ (საქართველო)
დიზაინ-ჯგუფი

თარგმნა:

ციცინო ჯულუხიძე

ჟურნალ „კ@ვკაზიას“ ქართული ვერსია გამოდის
ასოციაცია „გენდერმედიაკავკასიას“ საკუთარი რესურსებით

**საერთაშორისო კოალიცია
კავკაზიას**

რედაქცია არ არის წინააღმდეგი ჟურნალის გავრცელების ან ცალკეული ტექსტებისა და ილუსტრაციების გამოყენების – მხოლოდ გამოცემისა და ავტორის აუცილებელი მითითების პირობით



ჟურნალისტთა ასოციაცია
გენდერმედიაკავკასია

www.gmc.ge
<http://spaces.msn.com/GMC-Georgia/>

საქართველო, 0103, თბილისი, იორის ქ.№17
ტელ./ფაქსი (995 32) 77 60 18; (995 99) 90 11 24